MES 7 22 0001541557

05/12/2022

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2022 წლის 21 ნოემბერს 16:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.
https://us02web.zoom.us/j/2234959888
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 2022

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ქრისტინა რზგოევა - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი / საბჭოს წევრი;
ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი;
დეა აბულაძე - სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს პროგრამების მართვის დეპარტამენტის „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის“ ქვეპროგრამის - „ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა“ - პროგრამული განვითარების კოორდინატორი / საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანა დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნათია მჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

მაია თოიძე,
ალექსანდრე კეკენაძე,
დავით გუდაძე,
ნათია იორდანიშვილი,
ზაირა ბერიძე,
მაია ომიაძე,
მიხეილ სამხარაძე,
ქეთევან ღვანიძე,
ხათუნა მაისაია.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მაკა ბერიძე - უნივერსიტეტის რექტორი
როინ თათეშვილი - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
ცისკარა ზარანდია - ხარისხის მართვის მენეჯერი;

შპს „მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი“
მახირ ბაირამოვი - კოლეჯის დირექტორი
ზვიად არძენაძე - დირექტორის მოადგილე

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 16:10 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ვერ ესწრებოდა სხდომას, ამიტომ სხდომას გაუძღვა თავმჯდომარის მოადგილე შორენა ჯაფარიძე. ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა

იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

ვინაიდან საბჭოს მდივანი, მაგდა ბოლოთაშვილი, არ ესწრებოდა საბჭოს სხდომას, სხდომის თავმჯდომარის მიერ, სხდომის მდივნად განისაზღვრა ქრისტინა რზგოევა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი:**

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს ,,მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის“ ,,აღმზრდელის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს ,,მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის“ „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი.

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართაკითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
სხდომის თავმჯდომარე შორენა ჯაფარიძე მიესალმა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს და სთხოვა წარედგინათ საკითხი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მაია თოიძემ, საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2022 წლის 25 თებერვალს N197638 წერილით წარდგენილ დასკვნაში, რომელიც მომზადდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანებით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის მიერ, ასახულია მონიტორინგის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შემოწმება შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში: ,,ელექტროობა" „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, ,,სატყეო საქმე" და „მებოსტნე“.

ექსპერტის განმარტებით, 2022 წლის 14 და 15 თებერვალს განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში, დაწესებულების მიერ ვერ დადასტურდა, რომ ,,ელექტროობის“, ,,სატყეო საქმის“, ,,მებოსტნის“ და ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და დაწესებულების მიერ წარდგენილი შესაბამისობის გეგმის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამები შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“.

ამის შემდეგ, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 13 სექტემბრის ბრძანების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა, ბრძანებით განსაზღვრული ფუნქციების შესაბამისად, შეისწავლეს დაწესებულების მიერ 2022 წლის 31 აგვისტოს კორესპონდენციით ცენტრში წარდგენილი რეკომენდაციების შესრულების მტკიცებულებები და ადგილზე გაეცნენ პროგრამების იმ სასწავლო ფართებს, რომლებიც წინა ვიზიტის ფარგლებში არ იყო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად მოწყობილი.

ექსპერტის განცხადებით, ყველა ზემოაღნიშნული პროგრამის განხორციელების ადგილს წარმოადგენს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კორპუსი, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ. №119. არაგეგმიური მონიტორინგი განხორციელდა 2022 წლის 30 სექტემბერს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული ვიზიტის განრიგის შესაბამისად.

უნდა აღინიშნოს, რომ ,,მებოსტნისა“ და ,,სატყეო საქმის“ პროგრამების დარგის ექსპერტები, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, დისტანციურად იყვნენ ჩართულნი ვიზიტის პროცესში. მათ მიერ, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, განხორციელდა პროგრამების სასწავლო გარემოსა და აღჭურვილობის დათვალიერება. ვიზიტის პროცესში პირისპირ კომუნიკაცია შედგა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, ხარისხის მართვასა და უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებთან. ვიზიტის პროცესში დადგინდა, რომ დაწესებულებას წინა მონიტორინგის ფარგლებში გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციები სრულად ჰქონდა შესრულებული ყველა პროგრამის ფარგლებში. შესაბამისად, ,,ელექტროობის" „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“, ,,სატყეო საქმის" რომლებშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და „მებოსტნის“ პროგრამები პროფესიულ საგანმანთლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან მიმართებით არის ,,სრულად შესაბამისი“.

გარდა ამისა, ყველა ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში ექსპერტებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ ისევ გასცენ შემდეგი განმავითარებელი რეკომენდაციები:

ელექტროობა

2.2.1 (1) - დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ლაბორატორია უზრუნველყოს გამწოვი კარადით;

2.2.1 (5) - დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია მოდულებში იდენტიფიცირდეს მატერიალური და ელექტრონული სასწავლო რესურსები;
2.2.1 (6) - სსსმ პირთა სასწავლო რესურსის ადაპტირებასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია დაწესებულებამ რეგულაციით განსაზღვროს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა. - რეკომენდებულია მოდულის ,,უსაფრთხოება მაღალი ძაბვის ელექტროობაში" მეხუთე სწავლის შედეგთან (პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა) მიმართებით ელექტროობის პროგრამაში გაჩნდეს ინფორმაცია იმ სასწავლო გარემოსა და მატერიალური რესურსის თაობაზე, რომლებიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას (პირველადი გადაუდებელი დახმარების სასწავლო გარემო).

მებოსტნე
2.2.1 (5) - დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია მოდულებში იდენტიფიცირდეს მატერიალური და ელექტრონული სასწავლო რესურსები;
2.2.1 (6) - სსსმ პირთა სასწავლო რესურსის ადაპტირებასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია დაწესებულებამ რეგულაციით განსაზღვროს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა. - რეკომენდებულია მოდულებში გაჩნდეს ჩანაწერები რომელი სწავლის შედეგები მიიღწევა პარტნიორი საწარმოს ბაზაზე და ასევე, პროგრამაში არსებული ჩანაწერები იძლეოდეს ინფორმაციას პარტნიორი კომპანიების თაობაზე.

სატყეო საქმე
2.2.1 (1) - დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ლაბორატორია უზრუნველყოს გამწოვი კარადით;
2.2.1 (5) - დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია მოდულებში იდენტიფიცირდეს მატერიალური და ელექტრონული სასწავლო რესურსები'
2.2.1 (6) - სსსმ პირთა სასწავლო რესურსის ადაპტირებასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია დაწესებულებამ რეგულაციით განსაზღვროს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ალექსანდრე კეკენაძე მიესალმა დამსწრე პირებს და აღნიშნა, რომ პირველი ვიზიტის დროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები" უნივერსიტეტში არ იყო მანიპულაციებისთვის გამოყოფილი საკმარისი სივრცე, სადაც სტუდენტი შეძლებდა კომპიუტერის დაშლა-აწყობას. მისი თქმით, დაწესებულებამ გამოყო ფართი და ასევე, შეიძინა გამორჩეულად კარგი მონაცემების კომპიუტერები. ექსპერტის განცხადებით, უნივერსიტეტში შეიქმნა უკეთესი გარემო ყოველივეს განსახორციელებლად.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია და ასევე მოეწოდებინათ ინფორმაცია პროგრამებზე ახალი მიღებებთან შესახებ, ვინაიდან ეს საკითხი, გამომდინარე დაწესებულების ადგილმდებარეობიდან, განსაკუთრებით აქტუალურია.

როინ ტატეშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შეფასებისთვის. მისი განცხადებით, უნივერსიტეტი შეეცადა მისი ბიუჯეტიდან გამომდინარე,

ეტაპობრივად გაეთვალისწინებინა გაცემული რეკომენდაციების შესრულება და აღნიშნა, რომ კომპიუტერული ლაბორატორია ვერ შეესაბამებოდა მოთხოვნებს, იქიდან გამომდინარე, რომ იმ პერიოდისთვის უნივერსიტეტს არ ჰქონდა ლიფტის მომსახურება და ამიტომაც აღნიშნული ლაბორატორია იყო პირველ სართულზე, მაგრამ ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ უნივერსიტეტმა უზრუნველყო ლიფტის მონტაჟი და საშუალება მიეცა ნებისმიერ სხვა ფართში გადაეტანათ ლაბორატორია.

მისი თქმით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება უნივერსიტეტის მესამე სასწავლო კორპუსში, ახლო მომავალში დასრულდება მეოთხე სასწავლო კორპუსის მშენებლობა, სადაც ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოების შესრულება და ყველა პროგრამა გადაინაცვლებს აღნიშნულ მეოთხე კორპუსში.

შორენა ჯაფარიძის შეკითხვას, რომელიც ეხებოდა ახალ მიღებას, უპასუხა დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა, ცისკარა ზარანდიამ. მისი განცხადებით, ჯერჯერობით არ არის შევსებული ადგილები პროგრამებზე, მაგრამ „საბუღალტრო აღრიცხვის“ და „სატყეო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიიღეს სტუდენტები, უფრო მეტი მოთხოვნა იყო პროგრამაზე „ელექტროობა“. მისი განმარტებით, ინტეგრირებულ მოდულებზე სულ ორი მსურველი იყო, რომლებსაც ენის ბარიერი ჰქონდათ. მან ასევე აღნიშნა, რომ ახალციხის ფილიალში „საექთნო განათლების“ პროგრამაზე კონკურსი იყო გამოცხადებული და შეივსო ჯგუფები ბოლომდე.

შორენა ჯაფარიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ფიქრობდნენ, რომ დამატებითი ძალისხმევა და ღონისძიებების ჩატარება იყო საჭირო, რომ შემდგომში აღნიშნული საკითხი გადაწყვეტილიყო დადებითად.

ცისკარა ზარანდია დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარეს და აღნიშნა, რომ ბევრი სამუშაო იყო ჩასატარებელი პიარის კუთხით, მით უმეტეს, რომ აღნიშნული ხორციელდებოდა უნივერსიტეტის ბაზაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ს/კ:424066977) ,,ელექტროობის“, ,,სატყეო საქმის“, ,,მებოსტნის“ და ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამების მონიტორინგის ფარგლებში ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ს/კ: 424066977) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
სხდომის თავმჯდომარე შორენა ჯაფარიძე მიესალმა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს და სთხოვა, რომ წარედგინათ საკითხი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ზაირა ბერიძის განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის ცენტრის დირექტორის ბრძანებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ დებულების“ 31-ემუხლის, მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ე.ა) კომპონენტის შესაბამისობის შეფასება. წინა მონიტორინგის (გეგმიური მონიტორინგი - 22,23 დეკემბერი, 2021 წელი) წარმოების ფარგლებში 5.1 კომპონენტი შეფასდა „მეტწილად შესაბამისად“, რადგან დაწესებულებას 5.1.1.5; 5.1.2.1; 5.1.2.3 ინდიკატორებთან მიმართებით (არ ჰყავდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, არ ჰქონდა სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა და ასევე, არ ჰქონდა უფლებამოსილ უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა), გაწერილი ჰქონდა შესაბამისობის გეგმა, რომლის შესრულებისათვის მათი მხრიდან განსაზღვრული იყო 2022 წლის ზაფხულის პერიოდი. მიმდინარე ვიზიტის ფარგლებში, დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილია განახლებული დოკუმენტები აღნიშნულ ინდიკატორებთან მიმართებით, თუმცა დოკუმენტების გაცნობით დასტურდება, რომ მათ მიერ განახლებული დოკუმენტაცია სრულად ვერ ფარავს შესაბამის ინდიკატორებს, კერძოდ, მეტწილად შეფასებული 5.1.1.5; 5.1.2.1; 5.1.2.3 ინდიკატორებიდან მიმდინარე ვიზიტის დროს შესაბამისად ფასდება მხოლოდ 5.1.1.5 ინდიკატორი - შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი აყვანილია, ხოლო ორი ინდიკატორი, სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა და შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, არ იყო შესრულებული.

აღსანიშნავია, რომ დასკვნის პროექტში ექსპერტების მიერ შესწავლილი დოკუმენტების საფუძველზე 5.1.2.1 და 5.1.2.3 ინდიკატორები შეფასდა შეუსაბამოდ სტანდარტის მოთხოვნებთან, თუმცა დაწესებულებამ, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, არგუმენტირებულ წერილთან ერთად გამოაგზავნა გაუმჯობესების გეგმები, ექსპერტებმა შეისწავლეს გამოგზავნილი შესაბამისობის გეგმები და მეხუთე სტანდარტის კომპონენტები შეაფასეს მეტწილად.

ექსპერტის განცხადებით, წინა ვიზიტის დროს დაწესებულებას არ ჰქონდა დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების შესახებ და არც მიწერილობა, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილი იყო შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა „დაწესებულების მიერ სახანძრო

უსაფრთხოების შესაბამისი დასკვნის მოპოვება“ და დაწესებულების მიერ სავარაუდო დროდ გაწერილი იყო მიმდინარე წლის ივნისი, რაც ექსპერტების მიერ იქნა შესწავლილი და აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა მეტწილად.
მიმდინარე ვიზიტის ფარგლებში, დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული დოკუმენტაცია აღნიშნულ ინდიკატორთან დაკავშირებით. ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია კერძოდ: მიმდინარე წლის 17 იანვარს, საგანმანათლებლო დაწესებულებამ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სს-საგანგებო მართვის სამსახურს მიმართა (წერილი N26405), ქ, ახალციხეში, რუსთაველის ქ.113, უნივერსიტეტის I სასწავლო კორპუსში, სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის შემოწმების მიზნით, რის საფუძველზეც მიმდინარე წლის 31 იანვარს გაიცა შესაბამისი დასკვნა / აქტი „ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობილობებისა და სისტემის გამოცდის / შემოწმების“ შესახებ ქ. ახალციხეში, სჯსუ-ის პირველ სასწავლო კორპუსში. ქ. ახალციხის მეორე სასწავლო კორპუსში და ასევე ქ. ახალქალაქში, უნივერსიტეტის მესამე სასწავლო კორპუსში, მიმდინარე წლის 1 ივნისს, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, სსიპ-სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ გაცემული წერილის და თანდართული აქტის თანახმად, ჩატარდა „არსებული ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობისა და ევაკუაციის მართვის სისტემების გამოცდა“.
შორენა ჯაფარიძემ მიმართა ექსპერტს კითხვით, რომ წინა ვიზიტის დროსაც ჰქონდა დაწესებულებას ვადები განსაზღვრული გაუმჯობესების გეგმის მიხედვით და რა ვადები იყო მითითებული აღნიშნულ სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის გამოსწორებასთან მიმართებაში? ასევე, ექსპერტს მიმართა, დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია, თუ რატომ ვერ მოახერხა დაწესებულებამ დადგენილ ვადებში აღნიშნული პრობლემის მოგვარება.
ზაირა ბერიძის განცხადებით, პირველი ვიზიტი გასული წლის დეკემბერში განხორციელდა, შესაბამისად, მიმდინარე წლის მაისი და ივნისი იყო მითითებული ყველა შესაბამისობის რეკომენდაციის გასათვალისწინებლად, ხოლო თუ რატომ ვერ მოახერხა დაწესებულებამ ყოველივეს შესრულება, ექსპერტის განმარტებით, დავალების სისრულის არსი არ იყო სწორად დანახული, მისი თქმით, დაწესებულებამ ჩათვალა, რომ კონკრეტული აქტივობა, რომელიც დაიგეგმა კონკრეტული ორგანიზაციის მხრიდან და მათთან განხორციელდა და საკმაოდ ძვირი სერვისი გამოვიდა საბოლოო ჯამში, დაწესებულებამ ჩათვალა, რომ ეს იყო სისრულეში მოყვანილი დოკუმენტი.
ექსპერტების მხრიდან მოხდა აღნიშნული დოკუმენტების შესწავლა და ასევე დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრება, რითაც დასტურდება აღნიშნული კომპონენტის შემოწმების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტები არაა შესაბამისი სტანდარტისა, რადგან არ დასტურდება უნივერსიტეტის (სამივე კორპუსი) სახანძრო უსაფრთხოება. შესწავლილი დოკუმენტებით დასტურდება მხოლოდ ერთი კომპონენტი, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობილობების მართვის სისტემის გამართულობა. ექსპერტთა მხრიდან აღნიშნული ინდიკატორი დასკვნის პროექტში შეფასდა შეუსაბამოდ, სტანდარტთან მიმართებით, რადგან არ იყო დაწესებულების, სამივე მისამართზე, შენობა - ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის სრული დასკვნა და არც გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის შესახებ.
ექპერტის განმარტებით, დაწესებულებამ არგუმენტირებულ წერილთან ერთად წარმოადგინა გაუმჯობესების გეგმა, სადაც გაწერილია 5.1.2.1 ინდიკატორთან, („უნივერსიტეტის მიერ სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დასკვნის მოპოვება“) მიმართებით შემდეგი აქტივობა, რომ უნივერსიტეტმა მის მფლობელობაში/სარგებლობაში არსებული შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან ხელშეკრულების გაფორმების მიზნით. აქტივობის სრულყოფისათვის დაწესებულების მიერ სავარაუდოდ დროდ გაწერილია 2023

წლის იანვარი, ექსპერტებმა შეისწავლეს წარმოდგენილი დოკუმენტები და აღნიშნული შეფასდა მეტწილად.
ასევე, დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი, რომელიც საჭიროებს კომპეტენტურ ორგანოსთან შეთანხმებას. კერძოდ: წინა ვიზიტის ფარგლებში, დაწესებულებამ წარმოადგინა „ხანძრის პირობებში ევაკუაციის უზრუნველყოფისათვის უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების მოქმედების ინსტრუქცია“, რომელშიც გაწერილი იყო საგანგებო სიტუაციაში შესასრულებელი მოქმედებების თანმიმდევრობა და პასუხისმგებელი პირები. დაწესებულებას ჰქონდა საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმა, რომელიც იყო დამტკიცებული უფლებამოსილი პირის მიერ, თუმცა აღნიშნული გეგმა არ იყო შეთანხმებული კომპეტენტურ ორგანოსთან, წინა ვიზიტის დროს დაწესებულებას ჰქონდა შემუშავებული შესაბამისობის გეგმა, სადაც აღნიშნული აქტივობის სრულყოფისათვის სავარაუდო დროდ გაწერილი იყო მიმდინარე წლის ივნისი. შესაბამისად, ექსპერტების მხრიდან აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა მეტწილად, შესაბამისობის გეგმის თანახმად.
ექსპერტთა მხრიდან აღნიშნული ინდიკატორი დასკვნის პროექტში შეფასდა შეუსაბამოდ სტანდარტთან მიმართებით, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებულ წერილთან ერთად გაუმჯობესების გეგმა, სადაც გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა „უნივერსიტეტის მიერ სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დასკვნის მოპოვება“, აქტივობის სრულყოფისათვის დაწესებულების მიერ სავარაუდოდ დროდ გაწერილია 2022 წლის დეკემბერი. ექსპერტებმა შეისწავლეს წარმოდგენილი დოკუმენტი და აღნიშნული შეფასდა მეტწილად.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია. როინ თათეშვილის განმარტებით, 2019 წელს უნივერსიტეტში იმყოფებოდნენ სახანძრო უსაფრთხოების სამსახურის ექსპერტები და გააკეთეს შესაბამისი მიწერილობა. მისი თქმით, აღნიშნულ პერიოდში მესამე სასწავლო კორპუსში არ იყო სახანძრო უსაფრთხოების სისტემა, ხელოვნური განათებები და ა.შ. აღნიშნულთან დაკავშირებით, გამოცხადდა ტენდერი, რომელშიც გაიმარჯვა ერთ-ერთმა კომპანიამ, რომელმაც სრულყოფილად შეასრულა მოთხოვნები. ამის შემდეგ, ჩატარებული სამუშაოები მანამდე არ ჩაიბარა დაწესებულებამ, სანამ სახანძრო უსაფრთხოებამ არ გააკეთა დასკვნა.
როინ თათეშვილის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნული დოკუმენტი ერთ სისტემაში უნდა ყოფილიყო მოქცეული, როგორც კი ექსპერტებმა დაასრულეს ვიზიტი, მეორე დღესვე დაწესებულებამ მიმართა შესაბამის სამსახურს და გააფორმა ხელშეკრულება. მისი თქმით, დასკვნა ამჟამად წარმოდგენილია და შეიძლება ითქვას, რომ სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემა მოგვარებულია. მათ ჩათვალეს, რომ რადგან 2019 წლის მიწერილობა შეასრულეს, აღნიშნული იქნებოდა სრულ შესაბამისობაში ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა როინ თათეშვილს, რომ გასაგებია დაწესებულების არგუმენტი, მაგრამ დოკუმენტები, რომლებიც ვიზიტის დასრულების შემდგომ არის შექმნილი, მხედველობაში არ მიიღება.
ზაირა ბერიძემ 2019 წლის მიწერილობასთან დაკავშირებით გააკეთა კომენტარი. მისი თქმით, აღნიშნული მიწერილობა დაწესებულების ადმინისტრაციამ წარმოადგინა მეილის სახით, შესრულებული კომპონენტების შესახებ ინფორმაცია არ მიუწოდებიათ.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ს/კ:424066977) მონიტორინგის ფარგლებში ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ს/კ: 424066977) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 21 ნოემბერი.
სხდომის თავმჯდომარემ დამატებითი განმარტება გააკეთა. მან აღნიშნა, რომ საბჭომ ისარგებლა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 54-ე მუხლის მე-19 პუნქტის ჩანაწერით - „ იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-15 პუნქტით, ამ დებულების 46-ე მუხლის მე-5 პუნქტით და 51-ე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებული მონიტორინგის შედეგად დადგინდება, რომ იმ კომპონენტებიდან, რომლებიც შეფასებული იყო, როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან“, ერთ-ერთის შეფასება მაინც გაუმჯობესდა, მაგრამ აღნიშნულის გათვალისწინებით ვერ განხორციელდა სტანდარტის შეფასების დონის ცვლილება, საბჭო დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოსადგენად“ - და უნივერსიტეტს განუსაზღვრა ანგარიშის წარმოდგენის ვადა - 2023 წლის 23 იანვარი.

3. შპს ,,მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის“ ,,აღმზრდელის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

4. შპს ,,მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის“ „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
სხდომის თავმჯდომარე შორენა ჯაფარიძე მიესალმა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს და სთხოვა წარედგინათ საკითხი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, მიხეილ სამხარაძის განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2022 წლის 23 სექტემბერს გამოცემული ბრძანებების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა შპს „მარნეულის საზოგადოებრივ კოლეჯში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „აღმზრდელი“ და „საექთნო განათლება“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადებისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციების შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის - პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება. ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა შპს „მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის“ მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, ვიზიტის განხორციელებამდე გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია. დაწესებულებამ უზრუნველყო მოთხოვნილი მტკიცებულებების დროულად წარმოდგენა. 2022 წლის 10 ოქტომბერს განხორციელდა ვიზიტი ქ. მარნეულში. წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, მათ შორის დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებს. ექსპერტებმა ასევე ვიზუალურად შეამოწმეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა, მატერიალური რესურსი და ბიბლიოთეკაში სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა. ვიზიტის დასასრულს ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამეს ვიზიტი.

ექსპერტის განცხადებით, პროგრამაზე „საექთნო განათლება“ სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია 60-ით. მიმდინარე ეტაპზე პროგრამაზე სწავლობს 56 პროფესიული სტუდენტი, აქედან 27 პროფესიულმა სტუდენტმა დაასრულა სწავლა ქართული ენის მოდულზე და იმყოფება მომლოდინე რეჟიმში. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის თანახმად და დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საფუძველს წარმოადგენს გაზრდილი მოთხოვნა და პროგრამაზე დარეგისტრირებული მსურველების დიდი რაოდენობა. აღნიშნული მოთხოვნის საპასუხოდ, დაწესებულებას გააჩნია შესაბამის ადამიანური და მატერიალური რესურსი, რომელიც გამოანგარიშებულია კოლეჯში დამტკიცებული ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით და იძლევა 125 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესაძლებლობას. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო განათლების“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადი 2.2 კომპონენტთან მიმართებაში შეფასდა სრულ შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეგანცხადებით, პროგრამაზე „საექთნი განათლება“ გაიცა განმავითარებელი **რეკომენდაცია:**

ინდიკატორი 2.2.1-1

დაწესებულების წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაცია, უზრუნველყონ C გარემოს მოწყობა ისეთ აუდიტორიაში, სადაც შესაძლებელი იქნება 25 პროფესიული სტუდენტის განთავსება.

დაწესებულების წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაცია, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ასახონ ინფორმაცია კლინიკური სწავლის განმახორციელებელ ექთნისა და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობის შესახებ (1/7).

შორენას ჯაფარიძემ მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით, „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პრაქტიკული სწავლების მოდულები

(„ავადმყოფის მოვლა“ და „შინმოვლა“) ხორციელდება პრაქტიკის ობიექტებზე, რამდენად ეფექტურია ამ მოდულების გატანა დაწესებულებიდან, ხომ არ არის უკეთესი, რომ დაწესებულებამ გარკვეული ნაწილი მოდულებისა განახორციელოს თავის ბაზაზე.

ექსპერტის, ხათუნა მაისაიას განცხადებით, მოდულის („ავადმყოფის მოვლა“) ორი სწავლის შედეგი სრული თეორიული მეცადინეობაა და თავისუფლად შეიძლება განხორციელდეს კოლეჯის აუდიტორიაში, დანარჩენი სწავლის შედეგები პრაქტიკული მეცადინეობაა. ამისათვის კოლეჯს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ჯეო-ჰოსპიტალთან. მისივე თქმით, რეგიონში (მარნეული) კიდევ არის ორი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება და ისინიც აღნიშნულ კლინიკაში გადიან პრაქტიკულ ნაწილს, ამისათვის დაწესებულება იტოვებს შესაძლებლობას, რაიმე პრობლემის შემთხვევაში მას ჰქონდეს თავისი C გარემო კოლეჯში.
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია 60-ით. მიმდინარე ეტაპზე პროგრამაზე სწავლობს 41 პროფესიული სტუდენტი, აქედან 9 პროფესიულმა სტუდენტმა დაასრულა სწავლა ქართული ენის მოდულზე და იმყოფება მომლოდინე რეჟიმში. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის თანახმად და დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, „აღმზრდელის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საფუძველს წარმოადგენს გაზრდილი მოთხოვნა და პროგრამაზე დარეგისტრირებული მსურველების დიდი რაოდენობა. აღნიშნული მოთხოვნის საპასუხოდ, დაწესებულებას გააჩნია შესაბამის ადამიანური და მატერიალური რესურსი, რომელიც გამოანგარიშებულია კოლეჯში დამტკიცებული ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით და იძლევა 125 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესაძლებლობას. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელის“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადი 2.2 კომპონენტთან მიმართებაში შეფასდა სრულ შესაბამისად.

ექსპერტის, ქეთევან ღვანიძის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ ითვალისწინებს ორ პრაქტიკულ მოდულს - „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“, რომელთა განხორციელებისთვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ქ. მარნეულის ბაგა–ბაღების გაერთიანებასთან. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად ბაგა–ბაღების გაერთიანება უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული მოდულების ფარგლებში პრაქტიკის გავლას წელიწადში არაუმეტეს 40 სტუდენტისთვის. ვიზიტის პერიოდში დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს წარუდგინეს აღნიშნულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის დოკუმენტი, რომლის თანახმადაც პრაქტიკის განმახორციელებელი ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს პრაქტიკის გავლა 125 პროფესიული სტუდენტისთვის. პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს მოდულის პრაქტიკული კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალიწინებით. ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გაესაუბრნენ პარტნიორი დაწესებულებების (საბავშვო ბაღების) წარმომადგენლებს, რომლებმაც მზაობა გამოთქვეს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის. ერთ-ერთი ბაგა–ბაღის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მისი დაწესებულებაში 12 ჯგუფია და პროფესიულ სტუდენტებს საშუალება ექნებათ მონაცვლეობით გადანაწილდნენ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში, გაეცნონ აღსაზრდელთა ასაკობრივ თავისებურებებს, დააკვირდნენ სასწავლო–სააღმზრდელო პროცესს, დღის განრიგს, ჯგუფში არსებულ წესებს და თეორიული ცოდნა განიმტკიცონ პრაქტიკაში. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული

მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის (ჯამში 125 პროფესიული სტუდენტი) გათვალისწინებით.

შორენა ჯაფარიძემ მიმართა ექსპერტს კითხვით, რით ასაბუთებდა დაწესებულება და რამდენად დამაჯერებელი იყო ეს დასაბუთება, რატომ უნდოდა დაწესებულებას სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა, ორივე პროგრამის შემთხვევაში.

მიხეილ სამხარაძის განცხადებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საფუძველს წარმოადგენს გაზრდილი მოთხოვნა და პროგრამაზე დარეგისტრირებული მსურველების დიდი რაოდენობა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეფიქსირებინათ საკუთარი პოციზია.
დაწესებულების წარმომადგენლი მიესალმა დამსწრე პირებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შეფასებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ,,მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის“ ,,აღმზრდელის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს ,,მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯს“ (ს/კ: 434172584) დანართით განსაზღვრულ ,,აღმზრდელის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 125-ით **(დანართი 1).**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ,,მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის“ „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და

ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს ,,მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯს“ (ს/კ: 434172584) დანართით განსაზღვრულ „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 125-ით **(დანართი 2).**

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ, 17:45 საათზე ავტორიზაციის საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რზგოევა ქრისტინა

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. მარნეული, შოთა რუსთაველის ქ.13 ბ
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	125
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. მარნეული, შოთა რუსთაველის ქ.13 ბ
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	125
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210